სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№ 01-04/55 ბრძანება 5.08 2021

2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე „განათლების მეცნიერებები“ მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 21 მაისის № 32(20/21) დადგენილების „ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ და უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის 2021 წლის 20 ივლისის № 28(20/21) დადგენილების საფუძველზე ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს მიღება სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე 2021-2022 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე „განათლების მეცნიერებები“.
2. განისაზღვროს სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე „განათლების მეცნიერებები“ 2021-2022 სასწავლო წლის მისაღები კონტიგენტი 7 ადგილის ოდენობით.
3. ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე „განათლების მეცნიერებები“ მიღების წესები, საგამოცდო ვადები, მისაღები საკითხები იხილეთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე tsu.ge
4. კანცელარიის უფროსმა (ეთერ ცირეკიძე) და მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც.პროფ.თეა ვალიშვილი) უზრუნველყონ აღნიშნული ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ- გვერდზე.

საფუძველი: აკადემიური საბჭოს 2021 წლის 21 მაისის N 32(20/21) დადგენილება, პედაგოგიური ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის დადგენილება N 28(20/21), პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანის ასოც. პროფ. მამული ბუჭუხიშვილის 2021 წლის 4 აგვისტოს სამსახურეობრივი ბარათი N766963.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ასოც. პროფ. მ. ჯირითაძე

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი პროფ. იმერი ბასილაძე